



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 88

2013 წლის 14 ივნისი  
ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

საჯარო სკოლის მოსწავლეების (საჯარო სკოლებს შორის გამართულ ინტელექტუალურ კონკურს „BIG RAUND“-ის ფინალში პირველ ადგილზე გასული საჯარო სკოლის მოსწავლეების დაჯილდოების მიზნით, ქალაქ ახალციხეში (რაბათის ციხის დათვალიერება) მარშრუტით ქალაქი ხაშური-ქალაქი ახალციხე-ქალაქი ხაშური), გადასაყვანად სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვაზე 2013 წლის 7 ივნისს გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA130012516, რომელსაც 2013 წლის 12 ივნისს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“.

საჯარო სკოლის მოსწავლეების გადასაყვანად სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის საფუძველზე, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 13 ივნისის მოხსენებითი ბარათის, რომლის მიხედვით საჯარო სკოლის მოსწავლეების სამგზავრო იგეგმვა 2013 წლის 17 ივნისს, თანახმად:

1. განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის (საჯარო სკოლებს შორის გამართულ ინტელექტუალურ კონკურს „BIG RAUND“-ის ფინალში პირველ ადგილზე გასული საჯარო სკოლის მოსწავლეების დაჯილდოების მიზნით, ქალაქ ახალციხეში (რაბათის ციხის დათვალიერება) მარშრუტით ქალაქი ხაშური-ქალაქი ახალციხე-ქალაქი ხაშური), მომსახურების გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

